ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 163

10 ივლისი

"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირთან - გივი ამბრიაშვილთან (პ/ნ: 01009003021) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის №18.453.719 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.001.179) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, გივი ამბრიაშვილის (პ/ნ: 01009003021) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ მცხეთაში, სოფელ ლისში არსებული 2767 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №72.16.20.099) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**